



ენერგოდაიჯესტი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ანალიტიკური დეპარტამენტი

03.11.2014

№ 42

სარჩევი

საქართველო.....	3
330 კვ ეგზ „გარდაბანზე“ სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა	3
სს „თელასის“ 2014 წლის ცხრა თვის ოპერაციული მაჩვენებლები.....	4
რეგიონი	5
BP 2014 წლის ბოლომდე TANAP-ის პროექტში ჩართვას გეგმავს	5
თურქეთს წლიურად საშუალოდ 50 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების ენერჯის იმპორტი სჭირდება.....	6
აზერბაიჯანი მნიშვნელოვან ინვეტიციას აბანდებს განახლებად ენერჯებში	7
რუსეთის ფედერაცია და პოსტსაბჭოთა ქვეყნები	9
საბოლოოდ სად აღმოჩნდება თურქმენული გაზი ?	9
კომპანია Naftogaz Ukrainy რეკორდულ ზარალზეა	10
რუსეთი უკრაინისთვის გაზის მიწოდების პირობებზე დათანხმდა.....	11
ევროპა	12
ევროკავშირი ძირითად ენერჯეტიკულ ინფრასტრუქტურაში 647 მლნ ევროს ინვესტირებას ახდენს	12
კლიმატის დაცვის მიზნით, შესაძლოა, გერმანიამ ქვანახშირის ენერჯია შეამციროს	14
მსოფლიო.....	16
საუდის არაბეთი: მზის ენერჯოპროექტში ინვესტირების დროა	16
სინგაპურს აქვს პოტენციალი, იყოს ბუნებრივი გაზით ვაჭრობის ცენტრი	17
ენერჯეტიკული კომპანიები 300 მლნ აშშ დოლარის ღირებულების სამ კენიურ გეოთერმულ ელექტროსადგურს ააშენებენ	19
ანალიტიკა	20
ახალი ჰიბრიდული მზის ბატარეები მზის ენერჯის შენახვის პრობლემის გადასაჭრელად	20

330 კვ ეგხ „გარდაბანზე“ სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა

ვიცე-პრემიერმა/ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ, სს „საქრუსენეგოს“ გენერალურმა დირექტორმა რომეო მიქაუტაძემ, მთვრობისა და ენერგეტიკული კომპანიების წარმომადგენლებმა 330 კილოვოლტიან მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზზე „გარდაბანი“ მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს.



სარეაბილიტაციო სამუშაოები შესრულდა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე, 330 კვ ეგხ „გარდაბანზე“ შესრულდა სარემონტო სამუშაოები, რომლებიც მოიცავდა ფაიფურის იზოლატორების შეცვლას შუშის იზოლატორებით, ასევე, ძლიერ დაჭუჭყიანებული და გატეხილი იზოლატორების შეცვლას. ჯამში შეიცვალა 1500 ცალამდე იზოლატორი.

ამჟამად 330 კვ ეგხ „გარდაბანზე“ მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, რომელიც მოიცავს ქ/ს „გარდაბანი-500“-ში 330 კვ ეგხ „გარდაბნის“ პორტალზე ფაიფურის იზოლატორების შეცვლას შუშის იზოლატორებით. ჯამში შეიცვლება 130 ცალი ფაიფურის იზოლატორი შუშის იზოლატორით.

330 კვ ეგხ „გარდაბანი“ წარმოადგენს მაღალი ძაბვის სისტემათაშორის ელექტროგადამცემ ხაზს, რომელიც აკავშირებს საქართველოსა და აზერბაიჯანის ენერგოსისტემებს „გარდაბნისა“ და „აღსტაფის“ ქვესადგურებით და უზრუნველყოფს მათ პარალელურ რეჟიმში მუშაობას.

ჩატარებული სარემონტო სამუშაოების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ელექტროგადამცემი ხაზის საიმედოობა, ამალღდება მისი მდგრადობა და ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის ელექტროენერჯის უსაფრთხო და უწყვეტ მიმოცვლას, რის

საშუალებითაც, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება ერთ მილიარდ კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერჯის გატარება.¹

სს „თელასის“ 2014 წლის ცხრა თვის ოპერაციული მაჩვენებლები

2014 წლის ცხრა თვის მონაცემებით კომპანია „თელასმა“ 1.641 მლრდ კვტ.სთ ელექტროენერჯია მოიხმარა, რაც 9.8%-ით (147 მლნ კვტ.სთ-ით) აღემატება 2013 წლის ცხრა თვის მოხმარების მოცულობას (1.494 მლრდ კვტ.სთ). ელექტროენერჯის მოხმარების მოცულობის მატება ეკონომიკის და მომხმარებელთა რაოდენობის ზრდამ გამოიწვია.

2013 წლის იანვარ-სექტემბერთან შედარებით 2014 წლის იგივე პერიოდში 10.3%-ით (144 მლნ კვტ.სთ-ით) გაიზარდა მომხმარებელზე დარიცხული ელექტროენერჯის



რაოდენობა და 1.552 მლრდ კვტ.სთ-ი შეადგინა. ამ მაჩვენებლის ზრდა უპირველეს ყოვლისა ელექტროენერჯის მოხმარების მატებამ და დანაკარგების შემცირებამ განაპირობა.

სს „თელასის“ აბონენტთა რაოდენობა 2014 წლის ცხრა თვეში 2013 წლის იგივე პერიოდთან შედარებით 3.3%-ით (17 ათასი აბონენტით) გაიზარდა და 536.7 ათასი აბონენტი შეადგინა, საიდანაც 487.4 ათასი - ფიზიკური პირია, ხოლო 49.3 ათასი - იურიდიური პირი.

2014 წლის ცხრა თვის მონაცემებით, კომპანიის ელექტროგადამცემი ხაზების საერთო სიგრძემ 4 489 კმ შეადგინა, რაც 4.5%-ით (194 კმ-ით) აღემატება 2013 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს (4 295 კმ). კომპანიის ელექტროგადამცემი ხაზების საერთო სიგრძე ქსელის განვითარების, აბონენტთა რაოდენობის მატების და რეკონსტრუქცია-მოდერნიზების სამუშაოების ჩატარების შედეგად გაიზარდა.

სს „თელასი“ ერთ-ერთი მსხვილი კომპანიაა საქართველოში ელექტროენერჯის დისტრიბუციის დარგში, რომელიც ახორციელებს ელექტროენერჯის განაწილებას თბილისში. კომპანია ელექტროენერჯას აწვდის 500 ათასზე მეტ მომხმარებელს. 2003 წლის აგვისტოში სს „თელასი“ „ინტერ რაო“-ს შემადგენლობაში შევიდა. „ინტერ რაო“-ს მფლობელობაშია „თელასის“ აქციათა 75%, ხოლო 25%-მდე სახელმწიფოს საკუთრებაა.

¹ <http://energy.gov.ge/show%20news%20mediacenter.php?id=338&lang=geo>

ჯგუფი „ინტერ რაო“- დივერსიფიცირებული ენერგეტიკული ჰოლდინგია, რომელიც რუსეთსა და მის საზღვრებს გარეთ ელექტროენერგეტიკის სფეროს მრავალ სეგმენტში მონაწილეობს. კომპანიას რუსეთის ელექტროენერჯის იმპორტ-ექსპორტის დარგში ლიდერის პოზიცია უკავია, მისი წილი აქტიურად იზრდება გენერაციის და რეალიზაციის სეგმენტებში, ასევე ავითარებს ბიზნესის ახალ მიმართულებებს. „ინტერ რაო“-ს სტრატეგია მიმართულია გლობალური ენერგეტიკული კომპანიის შექმნისკენ, რომელიც მსოფლიო ენერგეტიკული ბაზრის ერთ-ერთი გადამწყვეტი მოთამაშე იქნება. „ინტერ რაო“-ს ჯგუფის შემადგენლობაში შემავალი და მის მმართველობაში მყოფი ელექტროსადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრე 34 გიგავატს შეადგენს.²

რეგიონი

BP 2014 წლის ბოლომდე TANAP-ის პროექტში ჩართვას გეგმავს

აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია SOCAR-ის განცხადებით, BP 2014 წლის ბოლომდე აპირებს მოაგვაროს ყველა სამართლებრივი პროცედურა, რათა გახდეს იმ მრავალმილიარდიანი გაზსადენის პროექტის (ტრანს-ანატოლიური გაზსადენი) მეწილე, რომლითაც ევროპის რუსულ გაზზე დამოკიდებულების შემცირება იგეგმება.

SOCAR-ის საინვესტიციო დეპარტამენტის უფროსმა ვაგიფ ალიევმა მედიას განუცხადა, რომ BP, რომელმაც პროექტში მონაწილეობის სურვილი შარშან გამოთქვა, ყველა დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ TANAP-ის 11%-ის მფლობელი გახდება, ისე რომ SOCAR-ს დარჩება 58%-იანი წილი, ხოლო თურქულ მილსადენის კომპანია BOTAS-ს - 30%.



BOTAS-მა საკუთარი წილი პროექტში 20-დან 30%-მდე მას შემდეგ გაზარდა, რაც SOCAR-მა წილის გასხვისების შესახებ გააკეთა განცხადება, ისე რომ საკონტროლო პაკეტი კვლავ აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიას დარჩენოდა.

TANAP-ის პროექტი კასპიის ზღვის აზერბაიჯანის სექტორში არსებულ შაჰ-დენიზის II-ის საბადოდან ევროპისთვის წლიურად 16 მლრდ კუბური მ. ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებას ითვალისწინებს. აქვე შეგახსენებთ, რომ საბადოს BP-ის თაოსნობით შექმნილი კონსორციუმი ავითარებს.

² <http://www.telasi.ge/ge/news/3555>

გაზსადენი გაივლის აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიას და ამ უკანასკნელისა და ბულგარეთისა და საბერძნეთის საზღვართან ტრანს-ადრიატიკულ გაზსადენს შეუერთდება. გაზსადენის მშენებლობა 2018 წლის ბოლომდე უნდა დაიწყოს, რათა გაზის პირველი ნაკადები ევროპამ 2019 წელს მიიღოს. გაზსადენის სავარაუდო ღირებულება 10-11 მლრდ აშშ დოლარია.

ალიევმა ისიც განაცხადა, რომ მილსადენისთვის დამატებით წყაროდ აზერბაიჯანში მდებარე სხვა და ახლო აღმოსავლეთსა, თუ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში მდებარე საბადოებიც განიხილება, რითიც შესაძლებელი იქნება მისი სიმძლავრის 31 მლრდ კუბ.მ.-მდე გაზრდა.³

თურქეთს წლიურად საშუალოდ 50 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების ენერჯის იმპორტი სჭირდება

თურქეთის სტატისტიკის სამსახურის ცნობით, ქვეყანამ 2009 წლიდან 2013 წლის ჩათვლით ენერგეტიკული წყაროების იმპორტზე ჯამურად 239 მლრდ აშშ დოლარი დახარჯა, ხოლო 2014 წლის პირველი რვა თვის განმავლობაში 37 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების ენერგეტიკული წყაროების იმპორტი განახორციელა.



იმპორტირებულ ენერგეტიკულ ნედლეულზე ქვეყანაში ენერჯიაზე მოთხოვნის 70% მოდის. თურქეთი ახორციელებს ქვანახშირის, ბუნებრივი აირისა და ნავთობის იმპორტს, რადგანაც საკუთარი რესურსებით არ შეუძლია მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

³ <http://uk.reuters.com/article/2014/10/27/uk-azerbaijan-tanap-idUKKBN0IG1SK20141027>

2009 წელს ენერგეტიკული დეფიციტის შესავსებად ქვეყანამ 30 მლრდ აშშ დოლარი გადაიხადა, 2010-ში დეფიციტი გაიზარდა და ქვეყანამ უკვე 39 მლრდ აშშ დოლარი გადაიხადა. 2011 წელს თურქეთმა 54 მლრდ აშშ დოლარის ენერგეტიკული წყაროების იმპორტი განახორციელა, 2012 წელს - 60 მლრდ.-ს, ხოლო 2013-ში - 56 მლრდ.-ის.

თურქეთის მოთხოვნას უცხოურ ენერგეტიკულ წყაროებზე კიდევ უფრო ამძაფრებს კურსის ცვალებადობა.

ქვეყანას არ გააჩნია დიდი ენერგეტიკული რესურსი, თუმცა მას აქვს შესაძლებლობები, გახდეს ენერგეტიკული კვანძი.

თურქეთს თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო აკისრია გადამწყვეტი როლი და მას შეუძლია რუსეთს, ევროპას, ახლო აღმოსავლეთსა და კასპიის რეგიონს შორის ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტირების სფეროში გზაჯვარედინის როლი შეასრულოს.⁴

აზერბაიჯანი მნიშვნელოვან ინვეტიციას აბანდებს განახლებად ენერჯიებში

აზერბაიჯანში ალტერნატიული და განახლებადი ენერჯის განვითარების მიზნით, 100 მლნ მანეთზე (127 მლნ აშშ დოლარი) მეტი ოდენობის ინვესტიცია ჩაღო საჯარო ფონდმა. აღნიშნულის შესახებ, „ალტერნატიული და განახლებადი ენერჯიების სახელმწიფო სააგენტოს“ უფროსმა აკიმ ბადალოვმა, 23 სექტემბერს გამართულ „კასპიის ევროპული კლუბის“ (Caspian European Club) რეგულარული ბიზნეს ფორუმის დროს განაცხადა. მან ასევე დაამატა რომ, ამ სფეროს განვითარების მიზნით, ქვეყანამ უკვე შექმნა ხელსაყრელი პირობები, კერძოდ, სექტორში მომუშავე კომპანიები თავისუფლდებიან საგადასახადო ვალდებულებებისგან.

აზერბაიჯანის მინისტრთა კაბინეტის 2014 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით, მომდევნო 10 წლის განმავლობაში, ენერჯო ეფექტურობის, ალტერნატიული და განახლებადი ენერჯიების წარმოებისათვის საჭირო მოწყობილობებისა და დანადგარების, ასევე მათი სათადარიგო ნაწილების იმპორტი გათავისუფლდება საბაჟო და დღგ-ს გადასახადებისგან.

შელავათიანი საგადასახადო რეჟიმი, გადაწყვეტილების ხელმოწერიდან 30 დღის შემდეგ შევიდა ძალაში. შელავათები შეეხება შემომტანს, რომელიც ფლობს სახელმწიფო სააგენტოს მიერ გაცემულ ვაუჩერს და ლიცენზიას (სპეციალურ ნებართვას) ალტერნატიული ენერჯისა და ენერჯოეფექტურ სფეროში ოპერირების შესახებ.

⁴ <http://www.dailysabah.com/energy/2014/10/02/turkeys-energy-import-costs-50-billion-per-year-on-average>

შეღავათი ითვალისწინებს ნომენკლატურას, რომელიც მოიცავს: 10 მგვტ-მდე სიმძლავრის წყლის ტურბინას, გეოთერმული ელექტროენერჯის კონდენსატორს, მზის ენერჯის ელექტროსადგურის გენერატორებსა და აპარატურას თბური ტუმბოებისათვის.

ამჟამად აზერბაიჯანის ელექტროენერჯის ჯამურ წარმოებაში, ალტერნატიული ენერჯის წარმოების წილი, რომელიც მოიცავს მცირე ჰიდროელექტროსადგურებს, 1 პროცენტზე დაბალია.

დღესდღეობით, ევროპული და სხვა განვითარებული ქვეყნები თანხმდებიან, რომ ქვეყნის მთლიან ენერჯეტიკულ წარმოებაში, ალტერნატიულმა ენერჯიამ 10-15 პროცენტი უნდა შეადგინოს.

წინასწარი კვლევის შედეგად, აზერბაიჯანში მომდევნო 5 წლის განმავლობაში დაგეგმილია 100 ალტერნატიული ენერჯეტიკული ობიექტის მშენებლობა.

ბადაღოვის განცხადებით, სახელმწიფო სააგენტო განავითარებს პროექტებს, რომლებიც მოემსახურებიან ელექტროენერჯის წარმოების სიმძლავრის გაზრდას. „ჩვენ ამჟამად განვიხილავთ 2015 წლის პოექტს, რომელიც ეხება 300 მგვტ სიმძლავრის მზის, თბო, ქარის და ბიომასის ენერჯის წარმოებას“.

ასევე, აქტიური მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს პირველი მსხვილი 50 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის ეროვნული ენერჯეტიკული ოპერატორის ქსელში ჩართვასთან დაკავშირებით, რომელიც განთავსებულია იენი ჯამმას დასახლების ტერიტორიაზე.

ქვეყნის 7 რეგიონში მიმდინარეობს სამუშაოები მზის ელექტროსადგურების პროექტირებაზე. აღნიშნული სადგურების დამონტაჟდება დასრულდება 2015 წლის დასაწყისისთვის. განიხილება ვარიანტები შაქისა და სიაზანის რეგიონებში ბიომასის ელექტროენერჯის წარმოებაზე.

„ჩვენ ვმუშაობთ გერმანელ ექსპერტებთან და აღნიშნულ რეგიონებში სადგურების დამონტაჟება მოსალოდნელია უკვე მომავალი წლისთვის“, - აღნიშნა მან.

უფრო მეტიც, ქვეყნის რამდენიმე რეგიონში მცირე ჰიდროელექტროსადგურის საინჟინრო სამუშაოები უახლოეს მომავლაში დაიწყება.

სააგენტოსთვის მცირე ჰიდროელექტროსადგურები შესაძლოა მომგებიანი გახდეს არა მხოლოდ აზერბაიჯანში, არამდე სხვა ქვეყნებშიც. ამავდროულად ირანმა გამოთქვა სურვილი შეუერთდეს ეროვნულ პროგრამას კასპიის სანაპიროზე მცირე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის თვალსაზრისით.⁵

⁵ <https://newhub.shafaqna.com/EN/AZ/3557430>

საბოლოოდ სად აღმოჩნდება თურქმენული გაზი ?

თურქმენეთი თავისი მდიდარი გაზის რესურსებით ორი ენერგეტიკული პროექტისთვის მიმზიდველ წყაროს წარმოადგენს. პირველი მათგანია ტრანს-კასპიური გაზსადენის პროექტი სამხრეთის გაზის დერეფნის ფარგლებში, რომელიც ევროპული ბაზრისთვის გაზის მიწოდებას ითვალისწინებს, მეორე კი - თურქმენეთი-ავღანეთი-პაკისტანი-ინდოეთის გაზსადენის პროექტია.

ორივე მათგანი საინტერესოა თურქმენეთისთვის, რადგან ქვეყანას გაზის საექსპორტო მარშუტებს დივერსიფიკაციის საშუალებას აძლევს. ამავე დროს საბოლოო მომხმარებელი ორივე პროექტში წარმოადგენს დიდი ენერგეტიკული საჭიროებების მქონე ბაზარს, სამომავლოდ მზარდი მოთხოვნით.



ევროპას, რომელიც დამოკიდებულია ერთი მიწოდების წყაროზე, ალტერნატიული გაზის მიღების სურვილი აქვს. თურქმენეთი კი ერთ-ერთი საუკეთესო ალტერნატივაა. მეორე მხრივ ინდოეთი, რომელიც ამჟამად ენერგეტიკული მოთხოვნის 1/3-ის იმპორტს ახდენს და რომელსაც მოთხოვნა მუდმივად ეზრდება, ერთ-ერთი ყველაზე დიდი იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანა ხდება.

თუ შევადარებთ ორივე პროექტის რეალური განხორციელების შანსებს, ტრანს-კასპიური გაზის მილსადენის პროექტი უკეთეს პოზიციაშია, მიუხედავად იმისა, რომ პროექტი დგას გარკვეული სირთულეების წინაშე - კასპიის ზღვის სტატუსი ჯერ-ჯერობით კვლავ გაურკვეველია და ამასთანავე, რუსეთი და ირანი ოპოზიციურად არიან განწყობილნი.

TAPI (თურქმენეთი-ავღანეთი-პაკისტანი-ინდოეთი) პროექტთან დაკავშირებით მთავარი პრობლემა არის პოლიტიკური ასპექტი. დიდი ნაწილი ამ 1 735 კილომეტრიანი მილსადენისა გაივლის პოლიტიკურად არასტაბილურ ქვეყნებზე - ავღანეთსა (735 კმ) და პაკისტანზე (800 კმ). ეს რთული პრობლემაა და ამის გამო თურქმენული გაზის ტრანსპორტირება ამ მილსადენით მუდმივად რისკის ქვეშ იქნება. ეს არ შეიძლება იყოს

ხელსაყრელი თურქმენეთისთვის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ექსპორტიორი ქვეყნისთვის.

ამგვარად, გაზის მიწოდების ეს მარშრუტი ყოველთვის ჰგავს ბომბს, რომელიც შეიძლება გააქტიურდეს ნებისმიერ დროს. ამასთანავე, პროექტის კომერციული ასპექტებიც გადასაწყვეტია - TAPI კოლოსალური პროექტია და მისი ღირებულებაც ძალიან დიდი იქნება.

TAPI-ის მშენებლობის დაწყება 2015 წელს იგეგმება. შესაბამისად, ამ პროექტის „ყოფნა-არყოფნის“ საკითხი ძალიან მალე გადაწყდება.

იმის გათვალისწინებით, რომ TAPI-ის სიმძლავრე წელიწადში 33 მილიარდი კუბური მეტრი გაზია, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მისი წარმატებით განხორციელება შეამცირებს ტრანს-კასპიური პროექტისთვის დამატებითი გაზის მიღების შანსებს. შეიძლება ითქვას, რომ TAPI მსუყე ლუკმაა და თურქმენეთს ურჩევნია აირჩიოს ეს პროექტი, მაგრამ რამდენად რეალურია მისი განხორციელება, ეს მეორე საკითხია.

ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა აჩქარებას დალოდება სჯობს. უმჯობესია დაველოდოთ და თურქმენული გაზის ტრანსპორტირებისთვის მეტად სანდო და სტაბილური მარშრუტი შეირჩეს, ისეთი როგორც ტრანს-ანატოლიური გაზსადენის პროექტია. ამ დროს ყველაზე მეტად საჭიროა ყველა ჩართულმა მხარემ მეტი ძალისხმევა გამოიღოს.⁶

კომპანია Naftogaz Ukrainy რეკორდულ ზარალზე

უკრაინის სახელმწიფო კომპანია Naftohaz Ukrainy-ს ზარალი მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში 12-ჯერ გაიზარდა და 4.8 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ამასთანავე, შემოსავლები 4.1%-ით - 3.4 მლრდ აშშ დოლარამდე შემცირდა. მარტო მესამე კვარტალში კომპანიის ზარალი 838 მლნ აშშ დოლარად, ხოლო შემოსავლები 700 მლნ აშშ დოლარად შეფასდა. სიტუაცია მას შემდეგ გართულდა, რაც უკრაინულ გრივნასა და ამერიკულ დოლარს შორის არსებული გაცვლითი კურსი 13



გრივნამდე შემცირდა ყოველ დოლარზე, მაშინ, როცა 2013 წელს 1 აშშ დოლარი 8 უკრაინული გრივნა ღირდა. სწორედ ამან გამოიწვია კომპანიის ზარალის ზრდა, რადგან გაზის იმპორტზე გადახდები აშშ დოლარებში ხორციელდება, ხოლო ადგილობრივი

⁶ <http://en.trend.az/business/energy/2328075.html>

მომხმარებლები გაზის საფასურს უკრაინულ გრივნაში იხდიან. ამასთანავე, მოსახლეობა გაზზე კვლავ ხელოვნურად დაწესებულ დაბალ ტარიფს იხდის.

ადგილობრივი ვალის გადახდა ნელ-ნელა დაწყებულია და კომპანიის მიმართ არსებული დავალიანება ერთი კვირის განმავლობაში 200 მლნ აშშ დოლარით 1.4 მლრდ აშშ დოლარიდან 1.2 მლრდ აშშ დოლარამდე შემცირდა. თუმცა, ეს სიტუაცია დროებითია, რადგან ზამთრის დადგომასთან ერთად იზრდება მოხმარებული რესურსის მოცულობა და, შესაბამისად, მასზე გადასახდელი თანხაც. ინდუსტრიული სექტორიც, მოსახლეობის მსგავსად, ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისისა და აღმოსავლეთში მიმდინარე საომარი მოქმედების გამო, ნაღდი ფულის დეფიციტს განიცდის.

სახელმწიფომ კომპანია Naftogaz Ukrainy-ს 63.3 მლრდ გრივნის (4.9 მლრდ აშშ დოლარის) სუბსიდია გამოუყო, რაც ეროვნულ ბანკზე გაყიდული ობლიგაციების მეშვეობით მიიღო. ეს თანხა კომპანიამ ძირითადად 1.6 მლრდ აშშ დოლარის ევროობლიგაციების გადასახდელად და „გაზპრომისთვის“ 3.1 მლრდ აშშ დოლარის ვალის დასაფარად მიიღო.⁷

რუსეთი უკრაინისთვის გაზის მიწოდების პირობებზე დათანხმდა

რუსეთი უკრაინაში ბუნებრივი გაზის ექსპორტის განახლებას დათანხმდა, რომლის საფუძველიც მოახლოებული ზამთრის ყინვებისგან მოსახლეობის დაცვა იყო. მოლაპარაკებები ევროკავშირის შუამავლობით მიმდინარეობდა. წევრი ქვეყნების ძირითადი მიზანი 2006 და 2009 წლის მოვლენების თავიდან აცილება იყო, როცა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის გაზის ფასებსა და ვალთან დაკავშირებით, ევროპა ტრანზიტის შეწყვეტასა და მიწოდების დეფიციტს განიცდიდა. „გაზპრომის“ აღმასრულებელი დირექტორის ალექსეი მილერის განცხადებით, ამჟამინდელი მოლაპარაკებების შედეგად, მაშინ როცა რუსეთი კიევისგან პირველ გადახდებს მიიღებს, მიწოდება 48 საათის ფარგლებში აღდგება. ეს მხოლოდ ტექნიკური შეთანხმება იქნება, რომელიც მხოლოდ 5 თვის განმავლობაში იმოქმედებს. „უკრაინა ამ შეთანხმებით მომგებიან სიტუაციაში არანაირად არ იქნება, ეს უბრალოდ სიცოცხლისთვის აუცილებელი კონტრაქტი იქნება“ - აცხადებს ევროკავშირის კვლევითი პროგრამის წარმომადგენელი არკადი მოშესი.

უკრაინა ამ წლის ბოლომდე რუსეთისთვის 3.1 მლრდ აშშ დოლარის ვალის გადახდას დათანხმდა, რომელიც მხოლოდ ნაწილია რუსეთის მიერ შეფასებული 5.3 მლრდ აშშ დოლარის ოდენობის დავალიანებიდან. პირველი ტრანში კი, 1.45 მლრდ აშშ დოლარის ოდენობით, სავარაუდოდ ამ კვირის ბოლოს განხორციელდება. უკრაინის

⁷NewsBase FSUOGM, Issue 806, 29 October 2014, Naftogaz Ukrainy posts record losses

ენერგეტიკის მინისტრის იური პროდანის ცნობით, ქვეყანას საკმარისი ფონდები აქვს იმისთვის, რომ ნოემბერსა და დეკემბერში ჯამურად 4 მლრდ კუბ.მ გაზი შეისყიდონ. გიუნტერ ოტინგერის თქმით, უკრაინას გადახდების კუთხით ევროკავშირი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი დაეხმარება. ეს ევროკავშირის ინტერესებშიც შედის, რადგან უკრაინის მეშვეობით გატარებული გაზი ევროპის მოთხოვნის 15%-ს შეადგენს.⁸

ევროპა

ევროკავშირი ძირითად ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაში 647 მლნ ევროს ინვესტირებას ახდენს

29 ოქტომბერს, ევროკავშირის წევრი ქვეყნები ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის პრიორიტეტული პროექტების მხარდასაჭერად 647 მლნ ევროს გამოყოფაზე შეთანხმდნენ. მხარდაჭერის უდიდესი ნაწილი დაეთმო გაზის პროექტებს ბალტიისპირეთის რეგიონში და, ასევე, ცენტრალურ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. დაფინანსება



ევროკავშირის პროგრამის Connecting Europe Facility-ის (CEF) მეშვეობით მოხდება. მხარდამჭერი პროგრამები გაზრდის ევროპის ენერგოუსაფრთხოებას და წევრ ქვეყნებს საერთო ევროპულ ენერგოქსელში ინტეგრირებაში დაეხმარება. იგი ასევე ხელს შეუწყობს ევროპული ენერგობაზრის სრულყოფასა და განახლებადი ენერჯის წყაროების ელექტროენერჯის ქსელთან მიერთებას.

ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტმა გიუნტერ ჰ. ოტინგერმა, რომელიც პასუხისმგებელია ენერგეტიკაზე, განაცხადა: „მივესალმები დღევანდელ გადაწყვეტილებას, რომელიც ევროპის ენერგოუსაფრთხოებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებაში დაგვეხმარება. გეოპოლიტიკურმა კრიზისმა გვაჩვენა, რამდენად მნიშვნელოვანია ენერგეტიკული ქსელების უკეთ დაკავშირება. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინტეგრირებული ბაზრისთვისაც, სადაც მომხმარებლები თავიანთი ფულის სანაცვლოდ იღებენ საუკეთესოს.“

თანხის უმეტესი ნაწილი პირდაპირ და ირიბად გაზის პროექტების დაფინანსებას მოხმარდება. გაზის პროექტები, ახალი ნავთობსადენების მშენებლობის გარდა, მოიცავს

⁸ <http://www.hellenicshippingnews.com/russia-agrees-to-terms-with-ukraine-over-gas-supply/>

ტერმინალებს თხევადი გაზის ტრანსპორტირებისთვის ბალტიისპირეთის რეგიონში, ცენტრალურ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში.

ელექტროენერჯის ინოვაციური ტექნოლოგიებიც ასევე თანადაფინანსდება. ეს მოიცავს ნორვეგიასა და გაერთიანებულ სამეფოს შორის 700 კილომეტრიანი წყალქვეშა მაღალმაზვიანი დენის კაბელების ტექნიკურ-ეკონომიკურ შესწავლასა და ირლანდიის საზღვარზე, გაერთიანებულ სამეფოში (ჩრდილოეთ ირლანდიაში) თანამედროვე ქსელის პროექტს.

გაცემული 34 გრანტიდან:

- 16 ბუნებრივი გაზისა და 18 ელექტროენერჯის სექტორს მოხმარდება;
- 28 გამოყოფილია ისეთი შესწავლებისთვის, როგორცაა გარემოზე ზემოქმედების შეფასებები (9.14 მლნ ევრო);
- 6 მოხმარდება სამშენებლო სამუშაოების პროექტებს (555.9 მლნ ევრო);

2014 წლის 28 მაისს „ევროპული ენერჯის უსაფრთხოების სტრატეგიაში“ (European Energy Security Strategy) რიგი მხარდაჭერილი პროექტებისა განისაზღვრა, როგორც მიწოდების უსაფრთხოებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე. The Connecting Europe Facility (CEF) უზრუნველყოფს იმ პროექტების დაფინანსებას, რომელთა სარგებლიანობა სცილდება ეროვნულ საზღვრებს და კომერციულად არაეფექტური ან ხელმიუწვდომელია კონკრეტული წევრი ქვეყნებისთვის.

CEF-ის მიერ გაცემული გრანტებით შესაძლებელია ნებადართული საქმიანობების ხარჯების დაახლოებით 50%-ის დაფარვა. თუმცა, გამონაკლისის სახით, როდესაც ქმედებას აშკარა სარგებელი მოაქვს მიწოდების უსაფრთხოებისთვის, აძლიერებს წევრ ქვეყნებს შორის სოლიდარობას, ან მაღალ-ინოვაციური გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას იძლევა, მაშინ შესაძლებელია ხარჯების 75%-მდე ანაზღაურებაც.

ევროკომისიის შეთავაზებას მხარი დაუჭირა CEF-ის საკოორდინაციო კომიტეტმა, რომელიც წევრი ქვეყნების წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული. წელს, მოგვიანებით კომისია ფორმალურად შეიმუშავებს წინადადებების სიას, რომელიც ფინანსურ დახმარებას CEF-ენერჯის ფარგლებში მიიღებს.

2014-2020 წლებისთვის The Connecting Europe Facility (CEF)-მ ტრანს-ევროპული ენერჯეტიკული ინფრასტრუქტურისთვის ჯამში 5.85 მლრდ ევრო გამოყო .

იმისთვის, რომ შემოთავაზებულმა წინადადებამ მოიპოვოს გრანტი, ის უნდა ეხებოდეს პროექტებს, რომელიც შედის „საერთო ინტერესების პროექტების“ სიაში. ეს წესი პირველად მიიღო ევროკომისიამ 2013 წლის ოქტომბერში. იგი მოიცავს

ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის 248 პროექტს, რომელთაც დასრულების შემდგომ უნდა უზრუნველყონ მინიმუმ ორი წევრი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სარგებლის მიღება; გაზარდონ მიწოდების უსაფრთხოება, ხელი შეუწყონ ბაზრის ინტეგრაციასა და მომავალ კონკურენციას და, ასევე, შეამცირონ ნახშირბადის ემისია.

CEF-ენერჯის პირველად 64 განაცხადზე მიღებულ წინადადებებზე ჯამურად მოთხოვნილი იყო 1.370 მლრდ ევროს ოდენობის ფინანსური მხარდაჭერა. შემოთავაზებული პროექტები, რომლებიც უარყვეს იმ პერიოდისთვის, შესაძლოა, თავიდან განიხილონ 2015 წლისთვის დაგეგმილი წინადადებების განხილვის შემდეგ სესიაზე.⁹

კლიმატის დაცვის მიზნით, შესაძლოა, გერმანიამ ქვანახშირის ენერჯია შეამციროს

„ახალი პოლიტიკის ფარგლებში, რომელიც ევროპის უდიდეს ეკონომიკას სათბურის გაზის ემისიის მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანაში დაეხმარება, გერმანია ქვანახშირის ზოგიერთი ელექტროსადგურის გაუქმებას ფიქრობს“ - ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო მდივანმა ოთხშაბათს (29 ოქტომბერს) განაცხადა.



როგორც სოციალ-დემოკრატი მინისტრის სიგმარ გაბრიელის მწვანეთა პარტიის წევრმა რაინერ ბააკემ განაცხადა, 3 დეკემბერს გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის კაბინეტი გადაწყვეტილებას მიიღებს ისეთი პროგრამის დამტკიცების თაობაზე, რომელიც, სავარაუდოდ, უნდა

მოიცავდეს ენერგოეფექტურობის გაზრდისთვის საჭირო ნაბიჯებს, და შესაძლოა, ქვანახშირის წარმოება შეამციროს.

გარემოს დაცვის მინისტრმა უკვე გააფრთხილა გერმანია, რომ შესაძლოა იგი ასცდეს დასახულ მიზნებს, რომელიც სათბურის გაზის ემისიის 1990 წლის მაჩვენებელთან შედარებით 40%-ით შემცირებას გულისხმობს. ბააკეს თქმით, გერმანია რისკვის ქვეშაა, რომ დასახულ მიზანს 5 და 8 პროცენტით ასცდეს.

⁹<http://www.energyglobal.com/news/pipelines/articles/EU-invests-647-million-in-key-energy-infrastructure-969.aspx#.VFNMFaDRaql>

„ჩვენი მიზანია გავაქროთ ეს სხვაობა. ჩემი აზრით, წარმატებას მივაღწევთ, ვინაიდან ძალიან ვართ მონდომებულები“ - განუცხადა მან ჟურნალისტებს.

ამ მიზნის წარუმატებლობა სამარცხვინო იქნება კონსერვატი მერკელისთვის, გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრისთვის, რომელმაც შექმნა გერმანიის "Energiewende" (ენერგო ტრანზიტი) - პროექტი, რომელიც ბირთვული ენერჯისა და წიაღისეული საწვავისგან განახლებადი ენერჯის წყაროებზე გადართვას გულისხმობს.

ექსპერიმენტის ფარგლებში, რომელიც ექსპერტების აზრით, ინდუსტრიული ქვეყნისთვის ამბიციურია, მერკელის მთავრობას სურს, რომ ენერჯის წარმოებაში განახლებად წყაროების წილი 2025 წლისთვის 40-45%-ს, ხოლო 2035 წლისთვის 55-60%-ს შეადგენდეს.

გერმანიისთვის ქვანახშირი ჯერ კიდევ მნიშვნელოვან საყრდენს წარმოადგენს

მიუხედავად იმისა, რომ გერმანიაში მწვანე ენერჯის ბუმი იყო, რომელმაც გამოიმუშავებული მთლიანი ენერჯის დაახლოებით 25% შეადგინა, გარემოს დამცველები გერმანიას ქვანახშირის ელექტროსადგურებზე ჯერ კიდევ ძლიერი დამოკიდებულების გამო აკრიტიკებენ, რომლის წილიც გასულ წელს ქვეყნის მთლიანი ელექტროენერჯის წარმოებაში 45% იყო.

„ჩვენ ვარკვევთ, რამდენად გამართლებული იქნება გარკვეული რაოდენობის ქვანახშირის ელექტროსადგურის ამოღება ბაზრიდან და მათ რეზერვში დატოვება.“ - განაცხადა ბააკემ.

როგორც გერმანული გაზეთი „Der Spiegel“-ი იწერებოდა, მიმდინარე თვის დასაწყისში, მთავრობას 10 გიგავატი ჯამური სიმძლავრის ქვანახშირის ელექტროენერჯის ამოღება სურდა, რაც დაახლოებით ორი ათეული პატარა ელექტროსადგურის ეკვივალენტურია.

ბააკეს თქმით, დროთა განმავლობაში მურა ნახშირის წილიც შემცირდება, რომელიც ასევე აზიანებს გარემოს, თუმცა კონკრეტული ვადების თქმისგან თავი შეიკავა, რისი გაგებაც სურდათ აქტივისტებს.

„ეს პროექტი გაგრძელდება რამდენიმე წლისა და დეკადების განმავლობაში. თუმცა წიაღისეული საწვავი შემცირდება.“

გერმანიის მიზნები კიდევ უფრო ამბიციურია, ვიდრე წინა კვირას ევროკავშირის შეთანხმება, რომელიც 2030 წლისთვის სათბურის გაზის მინიმუმ 40%-ით შემცირებას გულისხმობს.

ბაკეს თქმით, ჯერ გადაწყვეტილება არაა მიღებული სიმძლავრის ბაზრის თაობაზე, რომლის მიზანსაც, მწვანე ენერჯის ხელმძღვანელობის შემთხვევაში, წამგებიანი ტრადიციული ელექტროსადგურების მხარდაჭერა წარმოადგენს.

არსებობს იმის შიში, რომ გერმანია განახლებად რესურსებზე გადასვლის პროცესში ენერგოდეფიციტის პრობლემის წინაშე დადგება. ეს მთავრობის მხირდან გამოიწვევს RWE-სა და E.ON-სთვის - ოპერატორებისთვის დაფინანსების გაზრდას, რათა მათ შემდგომ საკუთარი ელექტროსადგურების ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელთა უმეტესობაც წამგებიანია.

„მომავალ კვირას მთავრობა გამოაქვეყნებს „მწვანე წიგნს“, სადაც განხილული იქნება საჯარო კონსულტაციის საბაზისო საკითხები. გადაწყვეტილება, შესაძლოა, მომავალ წელს მიიღონ,“ - განაცხადა ბაკემ.¹⁰

მსოფლიო

საუდის არაბეთი: მზის ენერგოპროექტში ინვესტირების დროა

„მზით განებივრებულ საუდის არაბეთს ისლა დარჩენია, მზის ენერჯიაში ინვესტირება მოახდინოს“ - განაცხადა ელექტროენერჯის ეროვნული მიმოწდებელი კომპანიის წარმომადგენელმა. „მზის ენერჯია საჭიროებაა და არა არჩევანი“ - ელექტროენერჯის კომპანიის აღმასრულებელმა დირექტორმა ჰამედ ალ-საგაფმა მზის ენერჯის შესახებ კონფერენციაზე განაცხადა.



სამეფო OPEC-ში ყველაზე დიდი მომწოდებელია და მისი ელექტროენერჯის წარმოება მთლიანადაა დამოკიდებული გაზსა და ნავთობზე. „ჩვენ თუ განვაგრძობთ საწვავის იმავე ოდენობით მოხმარებას, შესაძლოა დიდი დანაკარგის წინაშე აღმოვჩნდეთ“ - განაცხადა საგაფმა არაბეთის ინდუსტრიის მოთამაშეების მე-4 სამიტზე. „ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ახლა უნდა დავიწყოთ“ - თქვა მან.

სამეფოს ელექტროენერჯის დატვირთვის პიკი 58 გიგავატია, რაც მოსალოდნელია, კიდევ გაიზარდოს. Chatham House-ის (საგარეო ურთიერთობების სამეფო ინსტიტუტი, ბრიტანეთი) განცხადებით, საუდის არაბეთი მოიხმარს საკუთარი წარმოებული ნავთობის ერთ მეოთხედზე მეტს.

¹⁰ <http://www.euractiv.com/sections/energy/germany-may-cut-coal-fired-energy-protect-climate-309617>

საგაფის მიერ აღნიშნული გეგმა გულისხმობს ათასობით მეგავატი სიმძლავრის მზის ენერგოპროექტში ინვესტირებას მომდევნო 5 წლის მანძილზე და ფოკუსირებას ახდენს დიზელის საწვავზე დამოკიდებულ, იზოლირებულ მხარეებზე ქვეყნის ჩრდილოეთ და ჩდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.

„მზის ენერჯის სამიზნე იზოლირებული მხარეებია. დიზელის ტრანსპორტირების საფასური ბევრად მეტია, ვიდრე დიზელის სუბსიდირებული ფასი“ - განაცხადა მან.

კონფერენციაზე ითქვა, რომ საუდის არაბეთი გეგმავს 109 მლრდ აშშ დოლარის ინვესტირებას, რათა 2032 წლისთვის მიიღოს 41 გიგავატი მზის ენერჯია, რაც საჭიროების 30%-ს დაფარავს.

„ახლა ეს ჯერ მხოლოდ ოცნებაა“ - კონფერენციაზე განაცხადა ნავთობპროდუქტების გიგანტი კორპორაციის Saudi Basic Industries Corp (SABIC)-ის წარმომადგენელმა ალი ალ-მასჰიმ.

„ვფიქრობ, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, თუმცა მკაფიო პოლიტიკისა და შესაბამისი მექანიზმების მიღებაა საჭირო“ - განაცხადა ალ-მასჰიმ.¹¹

სინგაპურს აქვს პოტენციალი, იყოს ბუნებრივი გაზით ვაჭრობის ცენტრი

სინგაპური ფლობს პოტენციალს, რეგიონულად და, შესაძლოა, გლობალურადაც, განვითარდეს, როგორც გაზით ვაჭრობის ცენტრი, თავისი მარეგულირებელი ბაზის სტაბილური რეპუტაციითა და ასევე, არსებული სავაჭრო და ფინანსური ინფრასტრუქტურით.

ეს არის ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ენერჯის საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფის (IAP) ხედვა, რომელიც მთავრობას მომავალი განვითარების გეგმის მომზადებაში უწევს კონსულტაციას.

ჯგუფის წევრებში შედიან: დან არზიფუ - განახლებადი ენერჯის ეროვნული ლაბორატორიის დირექტორი და აღმასრულებელი; ჩუ კანგ-სუ - კორეის გაზის გაერთიანების საპატიო თავმჯდომარე; ოლე ენგერი - REC Solar-ის (მზის ენერჯის ინდუსტრიის ლიდერი ნორვეგიული კორპორაცია) თავმჯდომარე; კლოდ მანდილი - საერთაშორისო ენერჯეტიკული სააგენტოს ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი.

¹¹ <http://english.alarabiya.net/en/business/energy/2014/10/29/Saudi-official-Time-to-invest-in-solar-energy.html>

გაერთიანებამ, რომელმაც სამშაბათს (28 ოქტომბერს) გამოაქვეყნა თავისი რეკომენდაციები, განაცხადა, რომ სინგაპურმა უნდა განავითაროს სავაჭრო მექანიზმები და სტანდარტები, რათა ხელი შეუწყოს თხევადი ბუნებრივი გაზის მზარდ ბაზარს.

IAP-მა აღნიშნა, რომ თხევადი ბუნებრივი გაზის ბაზრის ორმაგად გაზრდაა მოსლოდნელი მომავალი ორი ათწლეულისთვის, განსაკუთრებით კი - აზიაში. ჯგუფმა განაცხადა, რომ შეიქმნა გაზის ვაჭრობის სფეროში მიწოდების მოქნილობისა და ბაზრის ეფექტურობის აუცილებლობა და მას სჯერა, რომ თუ სინგაპური სწორ სვლებს განახორციელებს, იგი შეძლებს გაზის ფასის ათვლის წერტილი გახდეს. ასევე რეკომენდირებულია, რომ სინგაპურმა აირჩიოს გრძელვადიანი ხედვა და განაგრძოს თავისი ინფრასტრუქტურის გაფართოება და დამხმარე სერვისების განვითარება.



ბატონმა ს. ისვარანმა, ვაჭრობისა და ინდუსტრიის მეორე მინისტრმა და ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა: „ჩვენ ვფლობთ გარკვეულ უპირატესობას, ჩვენი მარეგულირებელი სტანდარტების რეპუტაციისა და რეგიონში კავშირების წყალობით, და ასევე მხარდამჭერი ინფრასტრუქტურის მეშვეობით, რომელიც იმიტომ გვაქვს, რომ ჩვენ უკვე ვართ, მაგალითად, ნავთობით ვაჭრობის მთავარი მონაწილეები. ამ დამხმარე მომსახურებებს შეუძლია ასევე ადვილად დაუჭირონ მხარი გაზის საქმიანობას.“

გაერთიანების თქმით, ამ ეტაპზე მზის ენერჯია სინგაპურისთვის ტექნიკურად და ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი განახლებადი ენერჯის წყაროა. იმისთვის, რომ მზის ენერჯია გახდეს უფრო გამოყენებადი, ხარჯების შემცირებისა და მიმზიდველი ფინანსური მოდელის განვითარების მიზნით, საჭიროა, კვლევების გაგრძელება.

„ეს ყველაფერი, ფაქტობრივად, ეხება მეტი განახლებადი ენერჯის გამოყენებას, ეფექტური გამოყენებისა და განვითარების უკეთესი სქემის შემუშავებას“ - განაცხადა Salesforce.com-ის გლობალურ საქმეთა და სტარტეგიული დაგეგმვის უფროსმა ვიცე-პრეზიდენტმა პიტერ შვარცმა – „და ერთი კონკრეტული მნიშვნელოვანი სფეროა ენერჯის საცავი. სწორედ ამ კუთხით აპირებს სინგაპური ინვესტირებას და თამაშის წესების შეცვლის პოტენციალი საკმაოდ დიდია.“

ინოვაციებს ასევე არსებითი მნიშვნელობა ექნება ენერჯეტიკის სექტორის შესაძლებლობებისთვის. გაერთიანებამ მხარი დაუჭირა სინგაპურის სტრატეგიას, მიმართოს ინვესტიციები, როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების, საკვანძო საკითხების განვითარებისკენ.¹²

ენერჯეტიკული კომპანიები 300 მლნ აშშ დოლარის ღირებულების სამ კენიურ გეოთერმულ ელექტროსადგურს ააშენებენ

3 კომპანია ჯამურად 300 მლნ აშშ დოლარს დახარჯავს კენიაში გეოთერმული ელექტროსადგურების ასაშენებლად, რომლებიც 2015 დეკემბრისთვის ქვეყანას დამატებითი 105 მეგავატი სიმძლავრით მოამარაგებს.

დიდი რაოდენობის გეოთერმული ენერჯორესურსებით დაჯიღოებულ აფრიკელ ერებს სურთ, წარმოებული სიმძლავრე ახლანდელი 1700 მეგავატიდან 2017 წლისთვის გაზარდონ 5 000 მეგავატამდე, რათა შემცირდეს ტარიფები, მოგვარდეს ენერჯოდეფიციტის პრობლემა და ბიზნესის კეთების ხარჯები შემცირდეს.



სილას სიმიუმ, გეოთერმული განვითარების სახელმწიფო კომპანიის (GDC) მმართველმა დირექტორმა, განაცხადა, რომ Quantam Power East Africa, Orpower Twenty Two და Sosian Energy მიერ აშენებული თითოეული ელექტროსადგური 35 მეგავატი სიმძლავრის იქნება. ელექტროსადგურები დაფინანსდება, აშენდება და ამუშავდება სამი დამოუკიდებელი ენერჯომწარმოებლის მიერ.

GDC ფოკუსირებას ახდენს გეოთერმული ენერჯის წარმოებაზე დედამიწის ბირთვის მიერ გამთბარი მიწისქვეშა წყლებით. გეოთერმული ელექტროსადგურების საწყისი ხარჯი საკმაოდ მაღალია, ვინაიდან ძვირი ჯდება ჭაბურღილების გათხრა, მაგრამ

¹² <http://www.hellenicshippingnews.com/singapore-has-potential-to-be-natural-gas-trading-hub-panel/>

ენერჯის წყარო ბევრად უფრო იაფი და საიმედოა ხანგრძლივ პერიოდში, ვიდრე თბო, ან ჰიდროენერჯია.

აღმოსავლეთ აფრიკის უდიდესი ეკონომიკა დიდწილად ეყრდნობა ისეთი განახლებადი ენერჯის წყაროებს, როგორცაა წყლისა და გეოთერმული რესურსები ელექტროენერჯის მისაღებად. „ჩვენ გავხდებით ქვეყანაში ენერჯის ფასების შემცირებისა და ელექტროენერჯის დიდი რაოდენობით დაგროვების მოწმენი.“ - განაცხადა სიმუემ.

სახელმწიფოს მართვაში არსებული Kenya Electricity Generating Co (KenGen) არის კენიის ყველაზე დიდი ელექტრომწარმოებელი და ჯერ-ჯერობით მხოლოდ 420 მეგავატ გეოთერმულ სიმძლავრეს ფლობს.

კენიის დაფიქსირებული მოთხოვნის მაქსიმუმი არის 1 410 მეგავატ-საათი (მგვტ/სთ) და იგი იმყოფება წნეხის ქვეშ, რომ გაზარდოს ენერჯის მიწოდება, რათა ეკონომიკურ ზრდას შეუწყოს ხელი. მთავრობის პროგნოზით ზრდა წელიწადში 5%-ს უნდა შეადგენდეს.¹³

ანალიტიკა

ახალი ჰიბრიდული მზის ბატარეები მზის ენერჯის შენახვის პრობლემის გადასაჭრელად

მას შემდეგ, რაც მთელმა მსოფლიომ წიაღისეული საწვავის ალტერნატივების



ძებნა დაიწყო, მეწარმეები, მეცნიერები და მთავრობის ლიდერები ავითარებენ იაფ და სუფთა ენერჯიას. ქარის სადგურებს დღეს ძალიან ბევრ ადგილზე შეხვდებით, ასევე ძალიან ბევრი სახლის სახურავზე შენიშნავთ მზის პანელებს. ეს ყველაფერი კი სხვადასხვა ქვეყნების მიერ

განახლებადი ენერჯის სუბსიდირებული პროგრამების ამოქმედებით მოხდა. თუმცა, განახლებად ენერჯიებს ჯერ კიდევ ეფექტურობის გაზრდა და დაბალი დანახარჯების დონის მიღწევა ესაჭიროებათ, სანამ წიაღისეულ საწვავს დიდ კონკურენციას გაუწევენ. აქედან გამომდინარე, ოჰაიოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა ახალი ჰიბრიდული მოწყობილობის შექმნის შესახებ განაცხადა, რომელიც იმუშავებს როგორც მზის პანელის

¹³ <http://af.reuters.com/article/energyOilNews/idAFL5N0SQ2D520141031>

უჯრედი, რომელიც მზის სხივებიდან ენერგიას გამოიმუშავებს, ასევე როგორც მზის ბატარეა, რომელიც ენერგიის შენახვის საშუალება იქნება.

ახალი მოწყობილობის შექმნის იდეა უნივერსიტეტის ქიმიისა და ბიოქიმიის პროფესორ იინგ ვუს ეკუთვნის. მოწყობილობა მზის უჯრედებსა და ბატარეებთან დაკავშირებულ მრავალ შეზღუდვას მოხსნის. მზის პანელების სისუსტეს ძირითადად ენერგიის კარგვა წარმოადგენს, ისევე როგორც ქარის სადგურების შემთხვევაში. ეს ხარვეზი ძირითადად დღისა და ღამის განმავლობაში მზის სხივების ნაკლებობითა და უქარო ამინდით არის განპირობებული. მოსახლეობის უმეტესობა დღის განმავლობაში წარმოებულ ჭარბ ელ.ენერგიას ადგილობრივ ქსელში უშვებს, ხოლო საღამოობით ადგილობრივი ქსელიდან ამ ენერგიას უკან იბრუნებს.

რადგან სისტემა იდეალური არ არის, ჭარბი ენერგიის შესანახად ეფექტური ბატარეების სისტემის შექმნა აუცილებელია. შინამეურნეობისათვის, რათა ის ნამდვილად ენერგოდამოუკიდებელი იყოს, საჭიროა აწარმოოს ელ.ენერგია და შემდგომი გამოყენების მიზნით შეინახოს კიდევ. პროფესორი ვუს გამოგონებულმა მოწყობილობამ, შესაძლოა კიდევ ერთი ნაბიჯით წაწიოს წინ ისეთი სისტემის განვითარება, სადაც ეფექტური, დეცენტრალიზებული გენერაციის ნორმალური ფუნქციონირება მოხდება.

ერთი გზა, რომლითაც მოწყობილობა არსებულ სისტემას გააუმჯობესებს, არის ის, რომ გამოირიცხება ენერგიის გადაცემის არაეფექტურობა. ჩვეულებრივ, მზის პანელების მიერ გამოიმუშავებული ენერგიის 20% ქსელში გადაცემისა და ბატარეის დატენვის დროს იკარგება. მაგრამ ეს ახალი მოწყობილობა, მზის პანელისა და ბატარეის ფუნქციას კომბინირებულად შეითავსებს, რაც წარმოებულ ენერგიის 100%-ით შენახვის საშუალებას მოგვცემს.

ამ მოწყობილობის მეორე უპირატესობაა ის, თუ როგორ ხდება ენერგიის შენახვა. მოწყობილობა იყენებს ახალი თაობის ლითიუმის ბატარეას, რომელსაც „ლითიუმ-ჰაერის“ (Li-air) ან „ლითიუმ-ჟანგბადის“ ბატარეა ეწოდება. დღეს არსებული ბატარეების უმეტესობა ლითიუმ-იონისაა და ის ნებისმიერ ადგილას გვხვდება, დაწყებული სამომხმარებლო მოწყობილობებიდან, დამთავრებული ელექტრო მანქანებით. ახალი ბატარეები ლითიუმს იყენებს, როგორც ანოდს, ხოლო ჟანგბადს, როგორც კათოდს, რომელიც 15-ჯერ მეტად ენერგო ტევადია, ვიდრე Li-ion ბატარეები. ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი ბატარეების გამოყენება მეტი ენერგიის შენახვის საშუალებას მოგვცემს, თანაც დანაკარგების გარეშე.¹⁴

¹⁴ <http://singularityhub.com/2014/10/28/new-solar-cell-doubles-as-battery-to-store-the-energy-it-creates/>